

# ორნატი



საპოლიტიკო კრებული

პირველი

## ornati

Recueil politique géorgien

იანვარი

1934 წ.

კარიჭი

# ორნატი



საპოლიტიკო კრებული

პირველი

90

## ornati

Recueil politique géorgien

იანვარი

1934 წ.

პარიზი

## ეროვნული საკითხისათვის

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას (1801 წ.) თან მოჰყვა მრავალ-საუკუნოვან ბაგრატიონთა ტახტის გაუქმება და მრავალი აჯანყება — რუსული ხიშტებით განგმირული და რუსული ჩექმებით გათელილი.

ეს მრავალი აჯანყება იყო ქართულ ეროვნულ - სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ხელოვნური და ძალადობითი ტეხის წინააღმდეგ მიმართული, ისტორიულად სრულიად ბუნებრივი რეაქცია.

შემდეგ იწყება საქართველოს განთავისუფლების ცდა, 1832 წელს შეთქმულთა პოლიტიკური სიკვდილით რომ აღესრულა. და მერმე კი — ეროვნული მუშაობა გადადის კულტურულ ფრონტზე, და აქ მზადება-მუშაობის ფართოდ გაშლა სამოციან წელთა ბრწყინვალე თაობას — ილია ჭავჭავაძის მეთაურობით — წილად ზედა. ამ თაობის გეზი სრული სინამდვილის სწორად გაგების ნიადაგზე ისტორიულად ჯანსაღი და გამართლებული აღმოჩნდა. ხოლო ამავე დროს ქართული სინამდვილის ასპარეზზე ისეთი ნაკადი შემოიჭრა, რომელიც არც ქართულ ინტერესებს ეგუებოდა და არც სინამდვილეს შეეფერებოდა.

ქართული სინამდვილე იყო მეტად მარტივი: — ქართველი ერი რუსეთის მიერ იყო დამონებული; — 1864-5 წელსში ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლება მოხდა და ქართული ეკონომიკა შინაწარმოების (აიგენპროდუქციონ) არ სცილდებოდა. ევროპასთან შედარებით ეს იყო ჩამორჩენა არა ნაკლებ 80 წლისა. და აი, ასეთ პირობებში, ბატონყმობის მოსპობის ხანაში, მეტად უკანადმყოფ ქართული მეურნეობის ყანაზე იწყება სოციალისტური აზრების თესვა, მისთვის მოქმედება და ბრძოლა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და (პირველი) პარტიის დაარსების ხაზით.

რუსეთიდან დაბრუნებული ინტელიგენტები — ეგრედ-წოდებული ნაროდნიკები — საქართველოში სოციალიზმს ჰქადაგებდნენ; მათი აზ-





რით რუსეთი სოციალიზმის დასამყარებლად მზად იყო, ვინაიდან სოციალიზმის ორი ბერკეტი — ობშჩინა და არტელი — რუსეთის ხალხის უცილობელ კუთვნილებას შეადგენდა. („სოფლის თემი და მუშათა არტელი უფლებას მაძლევს დავასკვნა, რომ თვით სლავური ტომების ბუნებაშია ჩამარხული სოციალიზმის ელემენტები“ გეცენი, 1885 წ. წერილი პრუდონს). ამიტომ ბრძოლისათვის გადმოსროლილი სიტყვა და მოქმედების მიზანი იყო: — თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად სოციალურ რევოლუციის მოწყობა.

ქართულ ეროვნულ საკითხს ნაროდნიკები ამ სოციალური რიგის საკითხებს უქვემდებარებდნენ და ეკონომიური თავისუფლება-გათანასწორებისა შემდეგ ქართველ ხალხს ეროვნულ თავისუფლებასაც ჰპირდებოდნენ.

სოციალიზმის ეს „საძირკველი“ — „ობშჩინა და არტელი“ — საქართველოში არ არსებობდა და მის ნამდვილ ისტორიას იგი არ ახსოვს. მაგრამ ნაროდნიკები გატაცებული მზამზარეული დოკტრინებითა და რუსულ არალეგალურ ლაბორატორიაში გამომუშავებული დოგმებით, აღჭურვილნი უნდა ვსთქვათ, კეთილი განზრახვებით, რუსული სოციალიზმის დაარსებით საქართველოს ბედნიერებას უჭადდნენ. მათ ბევრი მსხვერპლი მიიტანეს მათ მიერ გამოგონილი და შექმნილი საკურთხეველის წინაშე და ოცდაათი წლის მანძილზე უკანდაუხეველად იბრძოდნენ. მათი ბრძოლის ნამდვილი და დადებითი შედეგი იყო მცირე, ხოლო უარყოფითი კი მრავალი და მძიმე. აქ მოგვეცა ჯამი იმ განუკითხაობისა და საკითხებისადმი ზერელედ მოპყრობისა, რომელიც ჩვენს იეტელიგენციას ქირად თანდაჰყვა. —

უცხოეთიდან პოლიტიკური თუ სოციალური დოკტრინებისა და დოგმების შემოტანა მეტად იოლი საქმეა, გარნა ქართულ სინამდვილეზე შესაფერი რეალ-პოლიტიკის წარმოება კი მეტად ძნელი, — მისი ათვისებისა და მასთან შეგუებული მოქმედების დაგეგმვის მაგივრად სხვაგან დამზადებული თეორიებით სიარული ადვილი შეიქმნა. თუ გნებავთ აქ ის სიზარმაცეც გამოიხატა, რომლითაც ქართული გონების უღისციპლინობა შემკულია.

რასაც 30 წლის ეკლიან გზაზე ნაროდნიკები სჩადიდოდნენ, — იგივე უნაკლულოდ და უფრო ფართო მასშტაბით მათმა მემკვიდრე მარქსიზმმა გაიმეორა.

სად მარქსიზმი და სად საქართველო?

ამ საკითხს მაშინაც არღვენდნენ, ოდეს პირველად 90-ან წლებში მისი





ქადაგება დაიწყეს, და დასვა იგი მისმა მოწინააღმდეგემ. მაშინდელი მარქსისტები თავს იმართლებდნენ: — საქართველოში კაპიტალიზმი მხოლოდ მწიკრის მდინარეშია, მაშასადამე, ბუნებრივია, კაპიტალიზმის მოპირდაპირეს, მის დამმარხველს პროლეტარიატს აქაც ასპარეზი გაეხსნასო.

მაგრამ სად იყო ეს კაპიტალიზმი და სად იყო ეს პროლეტარიატი?!

რამოდენიმე ათასი მუშა, ცალი ფეხით რომ სოფლის დედაბოძე იყო მიქედლი, პროლეტარიატად იქმნა გასაღებული; და 6 სამამსუშიანი ქარხანა (დანარჩენი 9.2 და ერთ-მუშიანი) (1900 წ.) კაპიტალიზმის ბრწყინვალე გამარჯვებად.

მაშინდელი ლიტერატურა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შესახებ ეხლა რომ გადაიკითხოთ, პირდაპირ განცვიფრდებით იმ პრიმიტიული გაგებისა და ვულგარული მსჯელობისა გამო, რომლითაც ამ საკითხებს უდგებოდნენ.

ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყანა, რომელიც შინაწარმოების საშოდან ეხლა-ხან გამოსვლას იწყებდა — ეს ერთი მხრივ — და კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში დაბადებული და გავრცელებული — პროლეტარიატის იდეოლოგია — მარქსიზმი — მეორე მხრივ.

ნოე ჟორდანიამ შემდეგში აღიარა, რომ 90-ან წლებში, როცა ამტკიცებდნენ საქართველოში კაპიტალიზმი განვითარებულაო, აქარბებდნენ, ნამდვილად კაპიტალიზმის განვითარება -900 წლებიდან დაიწყაო.

აქაც, ამ პირობებშიც, განმეორდა ის, რაც ნაროდნიკებმა ჩაიდინეს: მზა დოკტრინებისა და სულ სხვა პირობებში დამზადებული დოგმების ქადაგება — ადგილობრივი პირობების შეუსწავლელად, ქართველი ერის მეურნეობის საკითხების გამოურკვეველად!

მარქსისტებმაც ნაროდნიკებსავით ეროვნული საკითხი სოციალევკონომიურ საკითხებს დაუმორჩილეს, ხან მასთან გაასწორეს და მთელი ბრძოლის ენერგია სოციალურსა და ეკონომიურ საკითხებზე გადაიტანეს. თითქმის მთელი ხალხი წავიდა ამ ფრონტზე, რომელიც პირველად ყოვლისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული, გაჰყვა დიდი სოციალისტური გატაცებით, რაც უაღრესი პრიმიტივობით იყო შეკაზმული.

— ძამია, ორი პერანგი თუ გაქვს, ერთი მე და მეორე შენ — აი ჩვეულებრივი შეხედულება სოციალიზმის შესახებ და სოციალიზმის ქართული გაგება ფართო მასებში.

უცნაური მოვლენაა: — საქართველოში ოთხი პოლიტიკური პარტია

იყო და აქედან სამი სოციალისტური. მაგრამ ეს უცნაურება ფაქტია აღ-  
მოცენებული ქართული სინამდვილის სიღარიბეზე, ქართული ცხოვრე-  
ბის ჩამორჩენილობაზე და იმ ფეოდალურ ფსიქოლოგიაზე, ქართველ  
ხალხს რომ ჯერ კიდევ ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი.

ამ სოციალისტურმა ქადაგებამ და შემდეგში მოძრაობამ, 1865 წლი-  
დან ვიდრე დამოუკიდებლობამდე (1918 წ.), ზოგიერთი მნიშვნელოვანი  
დადებითი შედეგი მოგვცა, მაგრამ ეს შედეგი, როგელთა შორის არის  
ქართველი ხალხის პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანა, — სხვა იქნებო-  
და და უმჯობესი რომ საქართველოს პირობებთან შეთანხმებული მუშა-  
ობისათვის დაეხარჯათ ის უზარმაზარი ენერგია, რომლის დიდი წილი  
ასე უწყალოდ გაიფანტა და გაიფლანგა; რომ ქართველი ხალხის ეროვ-  
ნული და სოციალური ინტერესები სათანადო ღონეზე აწეულიყო; და  
საქართველოს ყანაზე არა „კვალი“ დაემჩნიათ, არამედ „ორნატი“\*) გაე-  
ვლოდ ღრმად. და შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს ბედი  
უსათუოდ სხვაგვარი იქნებოდა.

რევოლუციის გავრავარებულ მღელვარე მკერდზე, თითქმის წმინ-  
დათ აგრარულ ქვეყანაში პირველ რიგზე იდგა სოციალიზმის საკითხი  
და სოციალდემოკრატიული მასები, უფრო სწორად, პარტიის მოქადა-  
გენი, ამ საკითხით ისე გატაცებული იყვნენ, რომ სოციალდემოკრატი-  
ულ პირველ ყრილობაზე, ირაკლი წერეთელი იძულებული გახდა იქ  
დამსწრე ამხანაგები გაეფრთხილებინა: — ნუ ავიქარდებით! ჯერ ევ-  
როპამ განახორციელოს სოციალიზმი და შემდეგ ჩვენც მოვესწრები-  
თო!

ამ სოციალიზმის საკითხმა ეროვნული საკითხი თავიდანვე სქლად  
დაჩრდილა, და როდესაც სოციალდემოკრატიას წილად ხვდა ბედნიე-  
რება: — დამოუკიდებელი საქართველოს საჭე მიემართა, — იქ ტირი-  
ლი და გოდება იყო: — სოციალისტები იძულებული ვხდებით ბურჟუ-  
აზიული სახელმწიფო ვაშენოთო, — გარნა თავსაც ინუგეშებდენ: —  
და რადგან ასეა, ჩვენ ისეთი რესპუბლიკა უნდა შევქმნათ და განვამტკი-  
ცოთ, რომლითაც სოციალიზმში პირდაპირ შევალთო!

და აკი შევედით კიდევ!

მაგრამ არა „მეცნიერულ სოციალიზმში“, არამედ რუსულ-ბოლშე-  
ვიკურში!

\*) ორნატი — სახნველთა მიერ გაკუთალული; კუალი არა რასა ეწო-  
დების ფერხთა დანაჩნევთა კიდევ. სულხან-საბა ორბელიანი.

სოციალდემოკრატიის მემარცხენე ფრთას არა სჯეროდა ჩვენი პარტიის დაპირება და მათ (ბოლშევიკებმა) საჯაროდ იყვირეს: — თქვენ (მენშევიკებო!) სოციალმოდლატენი ხართ; თქვენ ვერ აარსებთ ნამდვილ სოციალიზმს, აგერ რუსეთში რომ უკვე არსდება!

და რადგან სოციალიზმის საკითხი მათთვის პირველადი იყო და ეროვნული კი დაქვემდებარებული, ამიტომ მის განსახორციელებლად მიმართეს ისეთ ზომას, რომელსაც მაღალ ლალატს (ჰაი ტრიზნ) ეძახიან: ისინი შემოუძღვენ რუსულ წითელ ჯარს „კარგი სოციალიზმის“ დასამკვიდრებლად.

სოციალიზმის („კარგი“ თუ „ცუდი“-ს) ქადაგებამ პოლიტიკურად და მორალურად ქართული ეროვნული ფრონტი შეასუსტა; რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენთვის ფეტიში არ არის, ამაზე წერამ (მაგ. ვაზეთ „ერთობა“-ში) დაარღვია ისედაც სუსტი საძირკველი, რომლის აგება-დაკირვას მთელი ეროვნული ძალა დაუზოგველად უნდა მოხმარებოდა და ყველა შესაძლებლობა შესწიროდა. ოღონდ ეს ასე არ მოხდა, და შედეგად ქართველ ერს ისეთი საშინელება დაატყდა, რომლის მზგავსი არც ერთი ნოინის, არც ერთი ყაენის, არც შაჰისა და სულთანის დროს მოსწრებია!

ამის მიზეზებს ჩვენ ვეძებდით და ვეძებთ; და დღეს აქ მხოლოდ ორ მოვლენაზე მივაქცევთ ყურადღებას: ა) ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელები (ყველა პარტიიდან) საქართველოს სინამდვილეს არც იცნობდენ და არც ანგარიშს უწევდენ; ბ) იაფი იყო და ფართო გასავალი ჰქონდა უცხოეთში დამზადებულ, საქართველოს პირობებისათვის სრულიად შეუფერებელ პოლიტიკურ თეორიებს, ეკონომიურ დოკტრინებს და სოციალურ დოგმებს, რომელთაც ქართული ნაციონალური დაუმონეს და შესწირეს.

საქართველო, რასაკვირველია, არ იყო ტაბულა რაზა, სუფთა ფიცარი, რომელზეც ოცნების მიხედვით ყველაფერის მოხაზვა შეიძლებოდა; მისი მთელი ფესვები და ძარღვები მის ისტორიაშივე ღრმად იყო ჩაქდებული და მათი ამოგლეჯა მისთვის საბედისწერო უნდა ყოფილიყო!

ამ განცხადების მიხედვით ჩვენ ის დასკვნა არ გამოგვაქვს, რომ ჩვენ საერთოდ სოციალიზმის წინააღმდეგი ვიყოთ; ჩვენ ვრჩებით სოციალისტებად, ეს ჩვენი მსოფლმხედველობის მოცულობაშია, — მაგრამ იგი სრულიად ხელს არ გვიშლის შევისწავლოთ ქართული ისტორია და სინამდვილე, მიუკერძებლად დავაფასოთ ქართველი ერის ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ვითარება და ამის შესაფერად ის

რეალური პოლიტიკა გავითვალისწინოთ და ავამოქმედოთ, რომელიც ამ ისტორიას და რეალობას შეესაბამება.



პირველად ყოვლისა გარკვევითა და აშკარად უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ წინა რიგში ერს ვაყენებთ, როგორც პირველად მოვლენას, როგორც პრიმატს. გამოვდივართ რა ერის პრინციპიდან, — ეს გვიბრძანებს და სავალდებულოდ გვიბნის: ყველა დანარჩენი საკითხი — პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და სხვა მრავალი ამ პრინციპს დავუმორჩილოთ. ჩვენთვის არსებითია საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, — ეს არის ჩვენი ფეტიში გულში რომ გატარებთ!

ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ მზადა ვართ ყველა ძალა გამოვიყენოთ და ჩვენ გულლიად და ხელგაშლით მივიღებთ ყოველგვარ საქართველოს, ხოლო საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს!

ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონითა და ღირსებით უარვყოფთ ყოველ დოკტრინას, რომლის სიწმინდისათვის საქართველო უნდა გაიკრიჭოს; არ ვღებულობთ არც ერთ დოგმას, რომლის გამართლებისათვის საქართველო მის ყალიბში უნდა ჩაიჭეჭყოს;

წინააღმდეგი ვართ უაზროდ გაზეპირებული პოლიტიკური „მამაო-ჩვეწო“-სი;

და ვგმობთ შეუგნებელ „მრწამს ერთი ღმერთ“-ოს.

არავითარი კატეხიზმო! არავითარი თალმუდი!

ქართველი ერი დღეს დოკტრინებისათვის არ იბრძვის და იქ ერთიც არ დაღუპულა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების გულისათვის!

და არც მომავალში დაიღუპება!

ქართული მსხვერპლი მხოლოდ საქართველოს შეეწირება!

რედაქცია.



## დღევანდელი ვითარება

ომის შემდეგ არამც თუ ევროპა ვერ ჩადგა წონასწორობის ყალიბში, არამედ მთელი მსოფლიო განიცდის მის მძიმე შედეგებს.

ნიეთიერი, სულიერი და აზროვნების კრიზისი აბორგებს ყველაფერს. ომმა და მისმა შედეგებმა ძირეულად შეაბრუნა მთელი სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გარემო. ძველი დოქტრინები და თეორიები დაიფუცა, გამოხმა და გაიცვია. ბურჟუაზიამ დაჰკარგა თავისი ძველი ხასიათი და ნიშნობლივი თვისებები. უწინ მის მოქმედებასა და ზრახვებს საზღვარი არა ქონდა. იგი მოარული იყო, უსამშობლო. ომის შემდეგ კი იგი ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ფარგალში მოეშფყდა. ეროვნულმა და სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა იგი ნაწილობრივ დააბა და შეზღუდა.

მუშათა მოძრაობაც ეროვნულ კალაპოტში იწყებს ჩადგომას და განაპირებას. ეს ორი დიდი გარდატეხა უკვა დაწყებულია. მისი განვითარება როგორ დასრულდება ძნელი სავარაუდოა.

დღეს არსებით დაფასებას საჭიროებს ყველაფერი, რაც წინად ნაფიქრი, ნააზრვეი თუ დაგვემილი იყო.

მსოფლიო ომი კაცობრიობის ერთი მომდევნო რკალის დასრულება აღმოჩნდა. შემდგომი განვითარება სრულიად ახალი არხით მიემართება. კაპიტალიზმის კრიზისი, რომელიც ომის თარიღთანაა დაკავშირებული და ამავე დროს ამ წყობილებასთან დაპირისპირებული სოციალიზმის კითხვა ისე მარტივად და ვულგარულად არ დადგა ულმობელ პრაქტიკაში, როგორც ამას ომამდე ფიქრობდენ. ყველა ეს დიდი საკითხები მესამე კუთხით შებრუნდა. დღეს კითხვა სდგას მთელი სახალხო მეურნეობის რაციონალიზაციის და მისი გამართვის ეროვნულ სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და არა კაპიტალიზმის ტექნიკური გაუქმებით.

ერთი შეხედვით მმართველობის წესების ბრძოლასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული ნიღაბია იმ დიდი მოძრაობის მსოფლიო ვითარებას რომ შიგნიდან არყევს. მიზეზები უფრო ღრმაა და განიერი. მისი შესახები საკითხები ყველა განზომილ: ითხოვს გასინჯვას.

ომმა ახალი გადამიჯვნა მოახდინა, სადაც ეს გადამიჯვნა ვერ მოხდა იქ დიდი ეროვნული მოძრაობებია გაჩაღებული, რომელიც მომავალში გამარჯვებით უნდა დასრულდეს.



ევროპის ახალი გადამიჯვნა, პოლონეთის და ბალტიის ერების ხელმწიფოებრივი აღდგენა, ყოფილი რუსეთის იმპერიის, აღმოსავლეთის და ჩინეთის ამოვარდნა ევროპის და ამერიკის სამრეწველო ერთეულებიდან როგორ ბაზრის და ამ უკანასკნელებში, მრეწველობის და მთელი სახალხო მეურნეობის ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნების ცდამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპისა და ამერიკის ეკონომიური კრიზისის შექმნაში.

ყველაზე მეტად დაზარალებული ვერსალის ზავით შეკრული გერმანია აღმოჩნდა. ეს დიდი ტექნიკური, ნივთიერი და სულიერი კულტურის მატარებელი ერი მოზნიქა ომის შედეგების სიძნელეებმა. იქ ეროვნული ბოლოს ზრდისათვის იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გერმანიამ მოგებული ომი წააგო. მთელი მისი სასიცოცხლო ძალები შეიკუმშა და დაიკრუნხხა. 1918 წ. რევოლუცია ამ დამარცხების სიძნელებს, შედეგად რომ მოჰყვა სისხლ-ნაკლული და სნეული აღმოჩნდა.

გერმანიას შინაგანი რეფორმები და ვაიმარის კონსტიტუცია ისე არ სჭიროდა, როგორც ომის უაღრესად მძიმე შედეგების დაძლევა. პიტლერის გამარჯვება ამ სიძნელებითაც აიხსნება.

მეორე მხრივ ამერიკაში რუზველტის არჩევით მომხდარი ცვლილება მნიშვნელოვანი ფაქტია. იქ პოლიტიკური შენობა არ გარყეულა, მაგრამ სოციალური რეფორმები აუცილებელი შეიქმნა. ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს იმას, რომ კლასების ინტერესების ზევით ერისა და სახელმწიფოს ინტერესებია. ომის დროს და შემდეგ ეს ნათლად გამოირკვა. ერისა და სახელმწიფოს ინტერესები პირველია და უმაღლესი, და ყველა კლასების თუ სოციალური დაჯგუფებათა ინტერესები მას უნდა დაუმორჩილდეს. მომავალი განვითარება ამ ძირითადი არხის კალაპოტით უნდა წარიმართოს.

ომის შემდგომი ახალი ვითარება დაწმენდილი და მყარე არაა. თითქო გაუსროლელი ყუმბარები დარჩათ ვილაცეებს და ახალი ომის მოსალოდნელობა კაცობრიობას აღელვებს.

ერთა ლიგა უძლური აღმოჩნდა გაეწმინდა ეს ატმოსფერო. იგი გამარჯვებული მხარის საპროპაგანდო ასპარეზი უფრო იყო დღემდე ვიდრე მსოფლიო დავაში მიუღდომელი მსაჯული და უანგარო ზავის მქადაგებელი.

უენევის დაწესებულება ხომ ყველა სახელმწიფოს არ აერთიანებს; ესეც საგულისხმო ნაკლია. დღეს კი ორმა დიდმა სახელმწიფომ დასტოვა იგი — იაპონიამ და გერმანიამ; რადგან მათი ვითარება მოქმედებას



უფრო ითხოვს ვიდრე ლაპარაკს. მათი გასვლის მიზეზები სხვა და სხვა იყო: — გერმანია წართმეული უფლებების დაბრუნების ცდაშია, რომლის მძიმე შედეგებმა არ დაახნოს და მსოფლიო ბაზრისათვის მოწყობილი სახალხო მეურნეობას ოდნავ ხერხემალი გაუსწოროს.

იაპონია აღმოსავლეთიდან ერეკება ევროპას და ამერიკას. ადვილი მოსალოდნელია იაპონიის ექსპანსიამ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. საბოლოოდ ეს ექსპანსია უნდა დასრულდეს თავისი ეროვნული კალაპოტში ჩადგომით და აღმოსავლეთის ეროვნულ მოძრაობათა გამარჯვებით. ეს პროცესი გრძელდება და ხანგრძლივი.

ევროპა და ამერიკა ადვილად ვერ ურიგდება იაპონიის ექსპანსიას, ამიტომაც დიდი სახელმწიფოები დღეს უფრო შეიარაღებისათვის ცდილობენ ვიდრე განიარაღებაზე. თუ ომი სადმე მოსალოდნელია, ეს აღმოსავლეთში. ევროპაში ამის საშიშროება არაა. მაგრამ ევროპა და ამერიკა ეცდება აღმოსავლეთის ამბებში პირდაპირ თუ არა პირდაპირ მონაწილეობა მიიღოს. ამგვარად მსოფლიო ვითარების ახალ დასაწყისს თან დაჰყვა ომის მძიმე შედეგებთან ერთად მნიშვნელოვანი სადავო მოვლენები. საბჭოთა კავშირი უცნაურად გაეხირა ამ უალრესად ღრმა ცვლილებათა რკალში. მარქსიზმისა და ლენინიზმის სქოლასტიურ დოგმებზე აგებულმა ქვეყანამ ორი რამ შეჰქმნა 16 წლის განმავლობაში: — ყოველის შემძლე პოლიცია და სამხედრო ძლიერება. სამაგიეროდ, ას სამოცი მილიონიანი სხვა და სხვა ერები პირველ-ყოფილ მონობაში ჩააგდო. ყოველ გვარი უფლებები აჰხადა ფიზიკურ სიცოცხლის გარდა. ოდნავი არ დამორჩილება ამ გატყაულ და პოლიციის მუხრუჭებით შეკრულ სიცოცხლეს სიკვდილით ემუქრება. პიროვნული თავისუფლების ასეთი აღკვეთა და მთელი სახალხო მეურნეობის პოლიციის საკუთრებად გამოცხადება კაცობრიობას დიდი ხანია არ ახსოვს. აქ მოქალაქე ნივთის უფლებრივ მდგომარეობაზე არის დაყვანილი, რომელიც შევიძლია გაპყიდო, გააჩუქო ან გადააგდო.

ამ უცნაურ სიმხეცეს განათლებული კაცობრიობა გულგრილად უცქერის. ზოგიერთები იმის ცდაშია დღესაც რომ ეს დიდი ქვეყანა თავისაკენ გადაიბიროს. კრემლის ბატონებიც არ ერიდებიან ასეთი დაპირებანი მისცენ! მსოფლიო რევოლუციის გეგმები არჩევში ჩაალაგეს და დღეს საფრანგეთსა და ამერიკას, რომელთა დემოკრატიას უწინ თავზე ლაფს ასხამდენ ეხლა სიყვარულსა და მეგობრობას ეფიცებიან.

კრემლის ბატონების ეს უჩვეულო მობრუნება იაპონიის მუქართით არის გამოწვეული. გარდა ამისა საბჭოებს მეორე საშიშროებაც აქვთ.



უფრო მაგარი, უფრო ღრმა. ესაა ეროვნული ერთეულების გააქვითვა  
 ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ერთეულებში არის — უკრაინა და კავკა-  
 სია.

16 წლის განმავლობაში ნორმალური ცხოვრების და განვითარე-  
 ბის ყოველგვარი საშუალება მომსპარი იყო იქ, მაგრამ ეროვნული და-  
 ბირისპირება მაინც ფიზიკურ ტკივილებამდე განვითარდა. ამას თვით  
 კომუნისტებმაც შეუწყვეს ხელი. დღეს ეროვნულ ერთეულებს საკუ-  
 თარი სპეციალისტები ჰყავთ, საკუთარი შინაგანი მმართველობის აპა-  
 რატი, საკუთარი ჯარი, სამეცნიერო აკადემია და უმაღლესი სასწავ-  
 ლებლები. მართალია, ყველაფერი ეს კომუნისტური საღებავითაა შე-  
 ლებილი და კრემლთან არის ჯაჭვით მიბმული. მაგრამ ამის გაწყვეტა  
 არც ისე შეუძლებელია, როგორც ამას კომუნისტები ფიქრობენ.

ამ ჯაჭვის გაწყვეტის შემდეგ — ვინ მოუყრის თავს რუსეთს? ეს  
 დიდი ამოცანა და ვებერთელა ნაპრალია, რომელიც რუს პოლიტიკურ  
 ხელმძღვანელებს მეტად აფიქრებს, იქ თუ აქ, რუსეთში თუ გადახვე-  
 წილობაში. მაშასადამე, რუსეთი ორი საშიშროების წინაშე სდგას: —  
 საგარეო და შინაგანი.

ჩვენთვის ყველაზე მეტად საგარეო გართულებაა საშიში, რადგან  
 საბჭოთა კავშირი უფლებო და მონობაზე აგებული ქვეყანაა. ოდნავი  
 ეჭვის მიტანა ერთგულებაზე გართულების დროს არა რუს ერზე, უდრის  
 ამ ერის მთელი სასიცოცხლო ძალბის განადგურბას. ყველაზე მეტად  
 ჩვენთვის სდგას ეს საფრთხე. ყველაზე ფრთხილად ჩვენ უნდა ვიყოთ  
 ასეთი შემთხვევის დროს.

ი. მანუკავა

პარიზი, 1934 წ.



## ქართული მეურნეობის საკითხები

ქართული მეურნეობა მსოფლიო ომის წინახანაში და თვით ომის დროს სწრაფი განვითარების ნაბიჯით მიდიოდა ეროვნული სიმდიდრის შექმნის გზაზე. ეს პროცესი შეჩერდა რევოლუციის დროს ერთი მხრივ კონფისკაციური ზომებით და მეორე მხრივ ინფლაციის გზით. ქართული მეურნეობის ზრდა არამც თუ შეჩერდა, არამედ გაჩანაგების გზას დაადგა და საჭირო იყო ათეული წლები, რათა რევოლუციის დროს მომხდარ ქონებათა გადაჯგუფება და მით სარგებლობა მეურნეობის განვითარების ნორმალურ კალაპოტში ჩავარდნილიყო. მაგრამ ამის მაგივრად საქართველოში დატრიალდა ისეთი ამბები, რომლის შედეგად მთელი ქართული მეურნეობა ძირიან-ფესვიანად შეიბრუნდა და გადატრიალდა. ეს მტკივნეული პროცესი ნაწილობრივ დაიწყო ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის დროს და შემდეგ მკაცრად, დაუზოგავად მეურნეობის სრულიად ახალი დოქტრინის შემოღებით და გატარებით დასრულდა რუსულ-ბოლშევიკური სოციალიზმით.

ვაჭრობა-მრეწველობის სახელმწიფო ხელში გადასვლამ და კოლხოზ სოფხოზების შემოღებამ არამც თუ ძირიან-ბუღიანად შესცვალა ჩვენი სახალხო მეურნეობის ბედი, არამედ სრულიად ახალ მოვლენებს გაუხსნა გზა და საქართველოც გადაიქცა იმ საცდელ მინდვრად, რომლის დიდი მსხვერპლი დიდი რუსეთი უკვე გამხდარიყო.

ქართული ხელისუფლების და ფაქტიურად მოსკოვის ხელში მეურნეობის დაგეგმვის გადასვლამ საქართველოს ეკონომიკა დაუმორჩილა ესესერის მიზნებს და ამ მიზნების გულისათვის მოხდა ქართული მეურნეობის ახალ გეზზე გადაყვანა. ის მოვლენა, რომ საქართველოში ჩაის, ბამბის, და სხ. კულტურები ფართოდ მოეწყო, გამოწვეული იყო და არის საკავშირო მეურნეობის ინტერესებით და ამ გზაზე ქართული მეურნეობის ინტერესები მთლიანად რუსეთის ეკონომიურ ინტერესებს დაუმორჩილეს. ამ მხრივ ქართული მიწა-წყალი გადაიქცა მოსკოვის საკოლონიო ობიექტად და ქართული ეკონომიკა სავსებით მისგან დამოკიდებული შეიქმნა. ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს ცხოვრებაში, და მომავალ განთავისუფლებულ საქართველოს ხელახლა დასჭირდება მეურნეობაში ახალი გადაჯგუფების მოხდენა, საკუთარ კალაპოტში ჩადგომა და საკუთარ ფეხზე დადგომა. ეს საკითხი დაკავში-



რებულია იმ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც მომავალში შეიქმნება.

დღეს გვსურს მხოლოდ ზოგიერთი საკითხის დასმა და საეგებო გა-  
შუქების დაწყება.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი შეეხება მოსკოვის გეგმაზე მოწყობილი ქართული მეურნეობისათვის ახალი, საკუთარი გზების გარკვევასა და გამოძებნას.

შეუძლია თუ არა საქართველოს იმ გეგმით იმუშაოს, რომელიც დღეს მეურნეობაში მოხაზულია საბჭოთა მეურნეობაში. და რომლის სიმძიმე გადატანილია მაღალი ხარისხის კულტურებზე?

საბჭოთა საქართველოში მთელი გეგმა გამომუშავებული, რომლის თანახმად მისი ინდუსტრიალიზაცია უნდა მოხდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით და არა რუსეთის ინტერესებისათვის რამდენად მისაღებია ჩვენი ქალაქის მრეწველობისათვის ასეთი ინდუსტრიალიზაცია და თავისუფალ პირობებში შესძლებს იგი გაძლებასა და სარგებელის მოცემას თუ მას კვლავ დასჭირდება სუბსიდიები ან საბაჟო კედლები? — ან კიდევ, სახელმწიფოს შეეძლება თუ არა მრეწველობას სუბსიდიება აძლოს; ექნება თუ არა მას საშუალება (რაც დამოკიდებულია მრავალ სხვა სახელმწიფოს საბაჟო პოლიტიკის საკითხებთან) ასეთი მფარველი საბაჟო პოლიტიკა აწარმოოს?

მრეწველობის განვითარების და კერძოდ საქართველოს ინდუსტრიალიზაციის საკითხი მეტად მძიმე და რთული იქნება მომავალი საქართველოსათვის. ჩვენ მხოლოდ ვარდგენთ ამ საკითხს.

კოლექტივიზაციის „კოლხოზ-სოვხოზების“ შექმნით მთელი ჩვენი ძველი მეურნეობა ამოვადებულია კერძო საკუთრების ნიადაგიდან, თვის მეურნეობის გადაქცეული არიან სახელმწიფოსათვის მომუშავე ყმებამდე. კითხვა ისმება — თუ რა გზას უნდა დაადგეს მომავალი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა. დღესვე ერთი შეიძლება გადაჭრით ითქვას: — რომ კოლექტივიზაცია მოსპობილი იქნება! პრაქტიკულად ეს მეტად რთულია და მას უნდა მომზადებული შევხვდეთ, რათა მან არ გამოიწვიოს დიდი ანარქია, რომელიც ამ დარგში მართლაც მოსალოდნელი.

არსებითად, საკუთრება უნდა დაუბრუნდეს პატრონს, მაგრამ რომელი საკუთრება? — ის, რომელიც მას რეგულაციამდე გააჩნდა, თუ ის, რომელიც მას ბოლშევიკური შემოსევის დროს ჰქონდა?

ეს საერთოდ როგორც ქალაქს, ისე სოფელს ეხება და მის გადაწყვე-

ტაზე ბევრი რამ და კერძოდ მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ბე-  
დია დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, ჩვენ წინ ისმება საკითხები: — როგორც სოფ-  
ლის მეურნეობის, ისე ქალაქის მრეწველობის, როგორც გუთანის ისე  
მანქანის. მანქანამ უნდა სძლიოს გუთანი, თუ გუთანმა მანქანა? თუ  
შესაძლებელი იქნება მათი მწყობრი და ჰარმონიული განვითარება?  
ასევე წარმოიშვება საკითხი საშინაო და საგარეო ვაჭრობის შესახებაც,  
ყველა ამ საკითხს აქვს მრავალი განშტოება, რომელზეც თვითოეულმა  
უნდა იფიქროს.

რა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ყველა აქ ჩამოთვლილ და მათ-  
გან გამომდინარე მრავალ სხვა საკითხს?

ამის შესწავლის დროს ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიდეთ კერძო პირის  
ან ჯგუფის ან კლასის ინტერესებიდან, — არამედ უნდა ვიხელმძღვანე-  
ლოთ ერის ინტერესებით. — როგორ მოუხდება ერს საკუთარი ნაციო-  
ნალ-ეკონომიკის მოწყობა? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგეს იმისათვის,  
რომ ჩვენი ერი საბოლოოდ ამოვიდეს იმ სიღარიბიდან, რომელშიც  
იგი ათეული წლების განმავლობაში იხრჩობა?

ცხადია, ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის თავადი მიზნები იქნება  
ეროვნული სიმდიდრის შექმნა. ეს არის ჩვენთვის არა მარტო უბრალოდ  
ნივთიერი, არამედ კულტურის საკითხიც.

აქ მხოლოდ საკითხები წარმოვადგინეთ. ჩვენ არ ვფიქრობთ ყველა  
აღძრული საკითხის შესახებ წინდაწინვე ურყევი დოგმები შევიმუშაოთ  
და გამზადებული რეცეპტებით ვინმეს გაბედნიერება ვუსურვოთ. ჩვენ  
დავსვით ეს საკითხები შესასწავლად, — და თუ, ვფიქრობთ, მისი სა-  
ერთოდ ან ზოგადად განხილვას, არსებითად, ქართული ნაციონალ-ეკო-  
ნომიკის საფუძვლებზე საუბარი და დავაც შეიძლება.

ბევრ სხვასაც აწუხებს ეს საკითხი და ყველა დაინტერესებული სა-  
თანადო სიდინჯით მიუდგება მას შესწავლა - გამორკვევისათვის და  
დაბოლოს გეზის ალებისათვისაც.

ედ. პაპავა

## კავკასიის საკითხისათვის

თითოული ქვეყნის ისტორიის მსვლელობას ამავე ქვეყნის გეო-პოლიტიკური \*) ვითარება განსაზღვრავს. ქვეყნის პოლიტიკური მოვლენანი ისტორიის გზაზე მუდმივად დაკავშირებული არიან ამავე ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, რომელიც მისი საფუძველია. — ქვეყნის მიწაწყალთან შეზრდილია მისივე პოლიტიკური ცხოვრების სახე, რაც განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში და საგარეო ძალთა ზეგავლენით ისტორიულ მსვლელობასა ჰქმნის.

ის, რასაც ჩვენ კავკასიას ვეძახით — გეოგრაფიულად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს, იმის მიუხედავად, რომ ლიხის ქედი აღმოსავლეთსა და დასავლეთს წარსულში ანკერძობდა. რიონისა და მტკვარის ხეობა, ამ ორი მდინარის გეზი, — ერთი შავი ზღვისაკენ, მეორე კასპიისაკენ — კავკასიას და კერძოდ საქართველოს ბუნებრივად ორ დაშორებულ ნაწილად ჰყოფდა. წარსულში ეს იყო ერთი მიზეზთაგანი, რომ საქართველო უმეტესად გაერთიანებას ვერ ახერხებდა და ჩვენს ისტორიაში უფრო დიდი მანძილია იმ მოვლენის, როცა ეს პოლიტიკური ცნება (საქართველო) მარტო ეროვნულსა და კულტურულ სახეობას გამოხატავდა.

სჩანს, თითქო ქართული პოლიტიკა ერთი მხრივ მტკვარს უნდა გაჰყოლოდა, — ეს ამერეთი, — და მეორე მხრივ კი რიონს — იმერეთი.

მაგრამ ქართული ეროვნული მისწრაფება და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სიძლიერის (მახტპოლიტიმეს) ინტერესები ამ ორ ერთი და იგივე ერის ნაწილის გაერთიანებას მუდმივად მოითხოვდა, და ეს გაერ-

---

\*) გეოპოლიტიკა არის მოძღვრება, რომლის მიხედვით პოლიტიკური მოვლენანი მიწაწყალთან არიან დაკავშირებული. იგი ეყრდნობა გეოგრაფიისა და განსაკუთრებით პოლიტიკური გეოგრაფიის საფუძველებს, ვით მოძღვრება პოლიტიკური სივრცითი ორგანიზმისა და მისი აღნაგობის შესახებ. გეოგრაფიის მიერ გარემოცული არსება მიწაწყალის სივრცისა გეოპოლიტიკურ ჩარჩოებს იძლევა, რომლის შიგნით პოლიტიკურ მოვლენათა მიმდინარეობა ხდება.



თიანება თუ მას ხელსაყრელი საგარეო პირობები უდგებოდა, შეიძლება  
ხდებოდა.

საქართველოს გაერთიანებით რიონისა და მტკვარის ხეობა ერთი-  
ანდებოდა და ტფილისის პოლიტიკურ ბატონობას იწყებდა. ამიტომ გე-  
ოპოლიტიკურ ძალთა ხაზები ანუ პოლიტიკურ ძალთა განვითარების  
სივრცითი მიმართულება ყოველთვის ტფილისისაკენ მიისწრაფოდა.

საგარეო მტერი, ქართველი მეფე თუ თავაშვებული ფეოდალი, —  
ტფილისისაკენ ეშურებოდა და ვის ხელშიც ტფილისი აღმოჩნდებოდა,  
ის დანარჩენ მხარეზეც ბატონობდა.

ჩრდილოეთიდან საქართველოში მტერი არდონისა და დარიალის  
კარებით იჭრებოდა; აღმოსავლეთიდან — კასპიის ზღვის ნაპირით —  
დარუბანდის კარებით; სპარსეთის მხარიდან მტკვარისა და არაქსის ხე-  
ობით; სამხრეთიდან სომხეთის გზით და დასავლეთში შავი ზღვის ნა-  
პირით.

საქართველოს პოლიტიკის უცვლელი მიზანი იყო თავდაცვისათვის:  
დეაღეთის (არდონის), დარიალის, დარუბანდის ჭისკარი საკუთარ ხელ-  
ში ჰქონოდა, ან სისუსტის დროს მისი მოკავშირე ადგილობრივ ხელის-  
უფლების განკარგულებაში ყოფილიყო. მტკვარისა და არაქსის ხეობა  
თავდაცვითი ხაზი იყო და სომხეთის პლატო ბუნებრივი ჯებირი მცირე  
აზიის წინააღმდეგ. აი, ამ გეოგრაფიულ ვითარებაში სწარმოებდა ჩვენი  
ერის ბრძოლა.

აქედანვე სჩანს, რომ კავკასია მის ჭარმაგ წარსულში (და ეხლაც!)  
მარცხენა ფრთას წარმოადგენდა, ოდეს დასავლეთი აზიისაკენ მიემარ-  
თებოდა, — და მარჯვენას, როცა აზია დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა.  
ეს გეოგრაფიული და სტრატეგიული მდგომარეობა კავკასიის ისტორი-  
ისთვის გდამჭრელი მნიშვნელობისა არის. ძველი იმპერიები და ახალნიც,  
კავკასიაში თავის დასაბჯენ წერტილსა და გაფართოების წვეროს ხედავ-  
დენ და აქ გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზები ერთმანეთს ხედებოდა.

ძველი ისტორიკოსი ამიანე მარცელინუსი მოგვითხრობს, რომ 361  
წელს რომაელებმა ძლივს დაამარცხეს სპარსეთი. „მათ (რომაელებს)  
ეშინოდათ გახაფხულზე (სპარსეთი) უფრო ძლიერად არ შეგვებრძო-  
ლოსო და ამიტომ ტიგროსის იმიერი ქვეყნების შეფეხებსა და მთავრებს  
ძღვენი მიუგზავნეს და ცდილობდნენ მათი გული რომაელებისათვის  
მოეგოთ. სპარსელები განსაკუთრებით არას ზოგავდნენ, რომ ბრწყინ-  
ვალე სამოსელის და მრავალ გვარი საჩუქრებით სომხეთის მეფე არშა-  
კი და იბერიის მეფე მირიპანი თავიანთკენ მიემხროთ, იმიტომ რომ თუ

იმ გვარ გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომელშიაც რომაელები იმყოფებოდნენ, სომხები და ქართველები სპარსელებს მხარს დაუჭერდნენ, რომაელების საქმისათვის მათ შეეძლოთ დიდი უნება მიეცნებიათ-ო.

ასე აფასებდა კავკასია-საქართველოს გეოგრაფიულ მდგომარეობას და სამხედრო მნიშვნელობას უცხო ისტორიკოსი, მაგრამ ამნაირადვე ესმოდათ საკითხი თვით ქართველებსაც.

მეექვსე საუკუნეში მცხოვრები ქართველი ზაქარია, რომელმაც პეტრე ქართველის ცხოვრება აღწერა, კერძოდ იბერიის შესახებ შემდეგს ამბობს: — „იბერია ის ქვეყანა არის, რომელსაც ყოველთვის რომაელებთან და სპარსელებთან ბრძოლა ჰქონდათ, იმიტომ, რომ თვითელი იმ ერთგანი, მფარველობის აღმოჩენის დროს, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მთელ ქვეყანას როგორმე დაჰპატრონებოდა“-ო.

ის ქვეყანა, სადაც რომელიმე სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზები ერთდებიან ან ერთმანეთს შორდებიან და სხვა სახელმწიფოს ძალთა ხაზებს ხვდებიან ან ეჯახებიან — არის ძალების ასპარეზი. კავკასია და საქართველო სწორედ ასეთ ასპარეზს წარმოადგენდა, ანუ ილია ჭავჭავაძის სიტყვებით თუ დავახასიათებთ: —

„რა არ გადაგვხედა თავს, რა მტრები არ შემოგვევიან, რა კბილთა-ღრჭენა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე, გაუძელით საბერძნეთს, რომს, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიან და ურჯულოს...“

„თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ის მიწის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიის და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრთ სხვა და სხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილობის მიზეზად იქნება კიდევ“.

აი, კავკასიის ეს გეოპოლიტიკური ვითარება არის გადამჭრელი მისი ისტორიისათვის და ამის მწარე დალი დღესაც არ მოშორებია მას., რადგან დღესაც სწორედ ამ გეოპოლიტიკური ვითარების ფარგალში მიმდინარეობს მისი თავგადასავალი.

კავკასიის გრძელი ისტორიის მთელ მანძილზე ჩვენ სამ მოვლენას ვხედავთ: — ა) ან საქართველო ძლიერია და კავკასია მას ხელთ უპყრია ბ) ან კავკასიური ჭისკარი მტრის ხელშია და ამგვარად იგი მთელს კავკასიაზე ბატონობს გ) ან როცა გარეშე მტერი აკტივობას ვერ (არ) იჩენს — მაშინ ხან ვასალური დამოკიდებულების შექმნით, ხან მეგობრული

კავშირის მოწყობით, ხან ზემოაღნიშნულ კარების პატრონებთან დიპლომატიური გზით თავს იცავდენ.

საგარეო მოვლენათა წინაშე პოლიტიკურად კავკასიის და საქართველოს ისტორია ერთნაირია, და ამის გასაგებად საჭირო არაა ძველ ზანდუკებში გაყვითლებული საბუთების ძებნა, ეს ჩვენ თვითონ ვიხილეთ და განვიცადეთ.

დღეს, როცა ჩვენ კავკასიის საკითხს ვეხებით, მთარულ პრინციპებსა და ხელიხელ საგოვმანებელ დოგმებს არ ვეყრდნობით, არამედ ჩვენი ისტორიის სინამდვილეს, და მისგან ნასწავლი მწარე გამოცდილებით ვხელმძღვანელობთ.

საქართველოს პოლიტიკა ისტორიულად კავკასიის პოლიტიკასთან არის გადაჯაჭული — ესაა ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცე და მასზე მტკიცედ დგომასა და მოქმედებას ჩვენი წარსული და მომავალი გვიკარნახებს.

თუ რა ფორმებში გამოიხატება ეს, რა პოლიტიკურ სახეს მიიღებს — ამაზე ყოველთვის შეიძლება მსჯელობა. ეს არაა მარტო წადილის და სიტყვის, არამედ უმთავრესად ფაქტის საკითხი. — და თუ როგორი იქნება იგი ამის წარმოდგენა მხოლოდ სავარაუდოა.

ვიკ. ნოზაძე

სარჩმვი: —

	გვერდი
რედაქცია — ეროვნული საკითხისათვის	3
ი. მანუკაძე — დღევანდელი ვითარება	9
ედ. პაპავა — ქართული მეურნეობის საკითხები	13
ვიკ. ნოზაძე — კავკასიის საკითხისათვის	16

რედაქტორი — კოლეგია



ფული და მასალები შემდეგი მისამართით უნდა გადმოიგზავნოს:

M-r Akaki Chavgoulidzé

50, Rue Vauthier, Boulogne sur Seine, France.